



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2017 წ. 27 დეკემბერი
№ 2686 დადგენილებით

მოდულიზებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
№ 01-05-04/95 დადგენილებით

ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N4

ტელეფონი: 599 732181

ელ-ფოსტა: r.cnobiladze@gtu.ge

ვებ-გვერდი: gtu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: შეყილაძე მარიზი

თბილისი 2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება - მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი / solid mineral concentration technology specialist
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07315-პ
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში / THIRD LEVEL OF PROFESSIONAL QUALIFICATION IN MINING
4. მიზანი

პროგრამის მიზანია სამთო პროფილის საწარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებულ მანქანა-დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას, ტექნოლოგიური პროცესის დადგენილი რეჟიმის მიხედვით სრულყოფილად და უსაფრთხოდ წარმართვას. პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოჩენას და დროულად აღმოფხვრას.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - საბაზო განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამთო საწარმოებში, კერძოდ მყარი წიაღისეულის (მანგანუმის, სპილენძის, ოქროს, ტყვიის, თუთიის, ბარიტის, რკინის, ვერცხლის, ნახშირის, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების და სხვა) მომპოვებელ და გადამამუშავებელ ორგანიზაციებში.

7. სტრუქტურა და მოდულები

სამთო საქმეში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის (კონცენტრაცია - მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი) მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი, საიდანაც ზოგადი მოდულების რაოდენობაა - 10 კრედიტი, საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულების - 4 კრედიტი, სავალდებულო პროფესიული მოდულების - 35 კრედიტი და არჩევითი პროფესიული მოდულების - 11 კრედიტი. სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი. მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე

ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ზოგადი მოდულები	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
2. ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
3. უცხოური ენა (ინგლისური)	საბაზო განათლება	4
ჯამი:		10
საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები		კრედიტი
1. გაცნობითი პრაქტიკა - სამთო საქმე	საბაზო განათლება	2
2. სამთო საქმის საფუძვლები	საბაზო განათლება	2
სავალდებულო პროფესიული მოდულები		
მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი		
1. პრაქტიკული პროექტი მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტისათვის	საბაზო განათლება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
2. მყარი წიაღისეულის გამდიდრება	საბაზო განათლება	6
3. სამსხვრევ-საფქვაკვი და საკლასიფიკაციო დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	5
4. დამხმარე პროცესებში გამოყენებული დანადგარების მომსახურება	საბაზო განათლება	5
5. ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება მამდიდრებელ ფაბრიკებში	საბაზო განათლება	4

6.მამდიდრებელი ფაბრიკების ელექტრომომარაგება	საბაზო განათლება	5
7.წიაღისეულის გამდიდრების პროცესების ავტომატური კონტროლის საშუალებები	საბაზო განათლება	5
ჯამი:		35
არჩევითი პროფესიული მოდულები		
მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი		
1. გრავიტაციული გამდიდრების პროცესებისა და მანქანა-დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	8
2. მამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესების დასინჯვა-კონტროლი	საბაზო განათლება	3
ჯამი:		11

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

საერთო სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- დაახასიათოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და აღწეროს წიაღისეულის გამდიდრების პროცესი;
- აღწეროს სამთო სამუშაოები და მასში გამოყენებული მანქანები, სამთო სამაგრები და გვირაბების გაყვანის პროცესი;

სამთო საქმეში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს ობიექტზე არსებული მანქანა-დანადგარების მუშა მდგომარეობა, ტექნოლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით დროულად გააჩეროს სამსხვრეველები, წისქვილები და საკლასიფიკაციო დანადგარები;
- დაადგინოს ხარვეზი დანადგარების მუშაობისას, განსაზღვროს გამდიდრების პროცესში გამოყენებული დამხმარე აპარატურის მუშაობის ტექნოლოგიური პარამეტრები;
- ზუსტად არეგულიროს დამსხვრეული მასალის სისხო, აკონტროლოს შეზეთვის სისტემია, ჩატვირთოს წისქვილებში ბურთულების ან ღეროების და მასალის საჭირო რაოდენობა;
- აილოს სინჯი საფეკავ, საკლასიფიკაციო დანადგარებიდან პროდუქტის გამოსავლის ზუსტი რეგულირებით, შეცვალოს წისქვილის ჯავშანი მიმღები და სააკუმულაციო ბუნკერების მექანიკური გაწმენდის გათვალისწინებით;
- გაუწიოს სწორი ექსპლუატაცია სამსხვრეველების მკვებავებს, სააკუმულიაციო ბუნკერებს, ლენტურ კონვეიერებს, გამფილტრავ მოწყობილობებს, შემსქელებლებს, ცენტრიფუგებს და სადრენაჟო მოწყობილობებს;
- უსაფრთხოდ წარმართოს სამთო საწარმოში ქიმიური რეაქტივების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები, უზრუნველყოს მამდიდრებელ ფაბრიკაში სახანძრო უსაფრთხოება, დაიცვას გარემო დაბინძურებისაგან, აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი ექიმამდელი დახმარება;
- შეამოწმოს მამდიდრებელი ფაბრიკების ელექტრომექანიკური მოწყობილობები, შეარჩიოს საკომუტაციო და სასიგნალიზაციო აპარატურის სამონტაჟო სქემები;
- დაამონტაჟოს ავტომატური საფიდერო ამომრთველი და მაგნიტური ამამუშავებელი, არეგულიროს ამუშავების შემდეგ მამდიდრებელი ფაბრიკის ელექტრომოწყობილობები;
- აკონტროლოს სამსხვრეველასა და წისქვილის მუშაობის ტექნოლოგიური პარამეტრები, აკონტროლოს სალექ/საფლოტაციო მანქანებში ტექნოლოგიური პარამეტრები;
- აკონტროლოს ტექნოლოგიური პარამეტრები დამხმარე პროცესებში, აკონტროლოს პულპის სიმკვრივე სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესში.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-სა.

შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - პროფესიული სტანდარტი:
 - ✓ მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი - 07110 - ს
- მოქმედების ვადა - 4 წელი

14. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“

დანართი:

1. სასწავლო გეგმა
2. პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია
3. მოდულები

პროგრამის ხელმძღვანელი

მარიზი შეცილაძე

სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის

ზარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ფაკულტეტის დეკანი

შალვა კელეპტრიშვილი
ანზორ აბშილავა

მიღებულია

სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 14 26.12.2017 წ.

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია

სამთო-გეოლოგიური

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
30 მარტი 2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ანზორ აბშილავა